მოსახლეობის ცნობის ფურცელი

ლეგიონერი

№ 44 | გამოდის კვირაში სამჯერ | 7 ივნისი 1944 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკაცრი ბრძოლა სამხრეთ-იტალიის ფრონტზედ

ძლიერი თავდაცვითი ბრძოლები იტალიაში

რომი გადარჩება განადგურებას

ფიურერის მთავარი ბანაკი.

4 ივნისი.

გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

ალბენის ქედის ჩრდილოეთით, კაზილინას გზის ორთავე მხარეზე, გუშინ მტერი, ავიაციის და ტანკთა ძლიერი შენაერთების დახმარებით, განაგრძობდა ჩვენი ფრონტის გარღვევის ცდებს. გააფთრებული და დიდ მსხვერპლიანი ბრძოლების შემდეგ, მან შესძლო ჩვენი დაცვის ხაზების უკან დახევა, რომელიც ამჟამად გადის რომიდან აღმოსავლეთით ათი კილომეტრის მანძილზე.

გმირული ბრძოლების დროს, მონტე კავოს დამცველები, ლეიტენანტ შაუნგრინის მეთაურობით, მთელი დღის განმავლობაში ანადგურებდენ რიცხობრივად მათზე აღმატებულ მტრის კოლონებს, რომლებსაც იერიშები მოჰქონდათ ჩვენს პოზიციებზე. ტყვია - წამალის გათავების შემდეგ, გარნიზონმა, თანამხად მიღებული ბრძანებისა, ბრძოლით უკან დაიხია, რომლის დროს განსაკუთრებით დაწინაურდა ხელჩართულ ბრძოლებში საზენიტო არტილერიის ერთ - ერთ პოლკის ლეიტენანტი ბროზე.

ვალმონტონეს სექტორში გმირულად იბრძოდენ „ჰერმან გერინგის“ ჯავშნიანი დივიზიის პარაშუტისტები. ალბენის ქედის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიხიეს მდინარე ტიბროსამდე.

ბია ჩრდილო დასავლეთით გამტრის ცდას, გაეფართოვერლვევა, გააფთრებულ ბრძოლებით ხელი შეუშალა ზაგროლოს და პალესტრინას გამაგრებულ წერტების ჩვენმა გარნიზონმა. აგრეთვე კავეს ორთავე მხარეზე და პალინოს სექტორში მტრის ყველა იერიშები მოგერიებული იქმნა მძიმე თავდაცვითი ბრძოლების დროს.

გასულ ღამეს გერმანული ავიაცია წარმატებით თავს დაესხა ვალმონტონეს რაიონში. მტრის ჯარის კოლონებს და მათ სადგომებს.

ფროზინონედან ჩრდილოეთით მდებარე სექტორში გზების გაფუჭების გამო, მტერი ხელს ვერ უშლიდა ჩვენი ჯარების უკან დახევას. 12 მაისიდან დღემდის ლირის სექტორში მყოფმა ჩვენმა ნაწილებმა გაანადგურეს მტრის 400 ტანკი. დასავლეთ იტალიის ნაპირებთან გერმანული ფლოტის სადარაჯო გემებმა მოიგერიეს ინგლისის ჩქარშავალი კატერების თავდასხმები, რომლის დროს რამოდენიმე მათგანი ძლიერ დაზიანდა. ადრიატიკაში, სპალაკოს ყურში გერმანულმა ჩქარმავალმა კატერებმა ჩასძირეს მტრის მომარაგების ოთხი გემი და მრავალი ტყვე წამოიყვანეს. ამის შემდეგ მტრის ჯავშნიან და ძლიერ შეიარაღებულ, მოტორიან ნავებთან შეტაკებაში რამოდენიმე მათგანი ძლიერ დაზიანდა.

იასსიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, გერმანულმა და რუმინულმა ერთეულებმა, ავიაციის აქტიური დახმარებით აი ძულეს ბოლშევიკები, უკან დაეხიათ და რამოდენიმე მნიშვნელოვანი მაღლობი წაართვეს. ბოლშევიკების, ავიაციის და ტანკთა დახმარებით, წარმოებული კონტ - იერიშები უშედეგოდ დარჩენ. რომლის დროს საბჭოებმა 25 ტანკი და საჰაერო ბრძოლებში 33 თვითმფრინავი დაკარგეს.

გასულ ღამეს ინგლისის ცალკეულ ავიონებმა დაბომბეს ქ. მანგეიმი და ლიუდვიხსგაფენი.

დამატებითი ცნობა

რადგან ბრძოლის ხაზი მეტად დაუახლოვდა რომს, და იბადება შიში, რომ სამხედრო მოქმედების გაგრძელებით, კულტურის უძველესი ცენტრი არ იქნეს განადგურებული, ამიტომ ფიურერმა ბრძანება გასცა. გერმანულ ჯარს დაეხია რომის ჩრდილო - აღმოსავლეთისაკენ.

ინგლის - ამერიკელების გადმოსხმა

- მოსალოდნელი გადმოსხმა ინგლის - ამერიკელებისა საფრანგეთის ტერიტორიაზედ დაიწყო 6 ივნისს დილით ადრე მდ. სენის სათავეებთან.

ჰავრის ნავთსადგური იმყოფება ბომბების ქვეშ. გერმანიის საზღვაო ფლოტი მედგრად შეება მტერს. დაიწყო კალესა და დუნკერკის დაბომბვა.

გერმანიის საჰაერო ძალა გადმოსხმას შეეგება სათანადოდ მომზადებული.

„მცირე მოკავშირეების“ აჯანყება ახალ ერთა ლიგის წინააღმდეგ

„მცირე მოკავშირეები“, რომ გორიცაა ბელგია, ჰოლანდია-ნორვეგია და სხვები მკაცრად აკრიტიკებენ ერთა ახალ ლიგის პროექტს, რომლის მიხედვით, მისი ხელმძღვანელი უნდა დარჩეს ოთხ დიდ სახელმწიფოთა ჯგუფი. „დაგენს ნიეპეტერის“ ლონდონელი კორესპოდენტი იწერება, რომ ემიგრანტულ მთავრობების წრეებში არ მალავენ თავიანთ უკმაყოფილებას და შიშს იმის გამო, რომ დიდმა სახელმწიფოებმა მიისაკუთრეს მსოფლიოს ზედის გადაწყვეტის უფლება. განსაკუთრებით ამით აღელვებულნი არიან ბელგიელები და ჩეხები.

მოსკოვი კიდევ ერთხელ მოითხოვს ევროპაზე გაბატონებას

საბჭოების მისი მოკავშირეებზე პოლიტიკური ტევა დღითი - დღე მატულობს. ლონდონის, საგარეო საქმეთა კარგი მცოდნე, ჟურნალი „სპირი“ სწერს, რომ კრემლი ამჟამად ამზადებს მთელ რიგ ხელშეკრულებათა გეგმის, რომელსაც მოდელად დაედება ბენეშთან შეკრული სტალინის ხელშეკრულება და რაც, თუ მას დღე ეღირსა, დე გოლს და შემდეგ მთელს საფრანგეთს მოაქცევს მისი ბატონობის ქვეშ. სწორედ ამ მიზნით იქმნა მათ მიერ ცნობილი ალჟირის კომიტეტის ელჩი. შვეიცის ჟურნალი „დაგსპოსტენი“ აქვეყნებს ახალ ცნობას საბჭოთა მოთხოვნილებების შესახებ, სკანდინავიის ქვეყნების მიმართ. ეს ცნობები ადასტურებენ იმას, თუ რა ენად გაიზარდა საბჭოთა პრეტენზიები ინგლის - ნორვეგიულ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობის დღე

ელისე პატარიძის სიტყვა, წაკითხული ქართველ ლეგიონერთა, 26 მაისის სადღესასწაულო დილაზე

ძვირფასნო თანამემამულენო!

წყვდიადით მოცული გრძელი საუკუნისა და 17 წლის შემდეგ, საქართველოს ისტორიის ბნელი ღრუბლებიდან გამოსულმა მზემ 1918 წ. მაისის 26-ს, პირველად დაანთო ანთება გამაცოცხლებელი სხივები ღირსება აღდგენილსა და თავისუფლება მოპოებულ საქართველოს, და ეს ისტორიული დღე - სასწაულისა, მისმა ზეციან - თანამგზავრმა სხივთა ნაკადითა და პირზედ კოცნით მიულოცა.

ეროვნულ - ღირსება აღდგენილმა, ისტორიულ უფლებათაგან კვლავ შემოსილმა, მაისის მწვანე ტყე და მინდვრებსა და ვარდ - ყვავილებში ჩამჯდარმა საქართველომ 117 წლის შემდეგ პირველათ ღირსეულათა და თავმომწონეთ შეეხედა მის ისტორიულს თანამგზავრს სხივთა სამშობლოზეს და ვით სწორმა - სწორს, ნიწიერმა - ზეციურს თვალი გაუსწორა.

მსოფლიოს მნათობს ახსოვს ერის სათავეები, მას ახსოვს საქართველოს ვერცხლისა და ოქროს ხანა, დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის საქართველოს ძლიერებისა და დიდების ეპოქა და მისი პირმშო შვილი შორთა რუსთაველიც — ეს ანთებული ჩირაღდანი კავკასიას კიდით - კიდემდე რომ ანათებს და კავკასიონის მაღალი ქედიდგან რომ ქართულ სხივებს აფრქვევს მთელ მსოფლიოში.

მსოფლიოს მნათობი დამსწრეა რუსეთ - საქართველოს შორის 1783 წელს დადებული ტრაქტატისა. მოწამეა რუსეთის მიერ მისი ვერაგულათ დარღვევისა, საქართველოს მიმართ ცბიერებისა და ძალადობისა. ქართველი ერის მიერ მის ეროვნულ უფლებათა და თავისუფლებისათვის გადახდილი რამოდენიმე აჯანყებისა და 117 წლის მანკილზე ქართველთა ეროვნული თავდაცვითი ბრძოლებისა.

მზისა და მთვარის სინათლეზედ, მთელი მსოფლიოს თვალთა წინ ხდებოდა საქართველოსი და ქართველი ერის სხეულებრივი და სულიერი განადგურება, რათა კავკასიის მიწის გულითგან აღმოეფხვრათ ქართული რასისა და ჯიშის ძირები. ნატანჯი - ნაწამები — მატერიალურ და სულიერ ქონებათაგან გაძარცული, გაძვალ - ტყავებული, ცოცხალ - მკვდარი ქართველი ერი კავკასიონის ქედზედ მიაჯაჭვეს, სისხლი ადინეს, ძმარი ასვეს.

მსოფლიო ომისაგან გამოწვეულმა ქარიშხალმა და მიწის ძვრამ დაანგრია თავისუფალ ერთა სასაფლაო ძველი რუსეთი და სხვა ერებთან ერთად სიცოცხლის წყლით ნაბკურები საქართველოც აღსდგა მკვდრეთით, ვით ურჯულოთაგან ჯვარცმული და გეთსამანიის ბაღში დასაფლავებული იესო ნაზარეველი.

26 მაისმა ცხადჰყო საქართველოს უკვდავება - მარადობა. თავისუფლების ისტორიის გზით მიიმართება მთელი ქართველი ერი. და არ არსებობს ფიზიკური - უხეში ძალა მისი სამართლიანი მსვლელობის შემჩერებელი.

1918 წელს მაისის 26-ს, სინამდვილედ იქცა ილია ჭავჭავაძისა და მისი დასის ნაციონალური პროგრამის დედააზრი - მოხევის ენით დიდის რწმენით, ნებისყოფითა და მარტივათ თქმული: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს“-ო. ქართველმა ერმა, მიუხედავად ზოგიერთის მერყეობისა და შიშისა, საერთაშორისო შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა, თავისუფლება მინიჭა, ეროვნული ღირსება აღიდგინა, დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ეროვნული სახელმწიფოს მოწყობას შეუდგა. ჩადგა თავისუფალ - ერთა და სახელმწიფოთა რიგში, როგორც სრულ - უფლებიანი წევრი საერთაშორისო ხალხთა ოჯახისა.

— 117 წელი დამუკიდებელი სახელმწიფო აღარა გვქონია ქართველ ერს თავისუფლად, საკუთარის თავითა და ფეხით აღარ უვლია. გაჩანაგდა ცოდნა - გამოცდილება და პოლიტიკური სიბრძნე სახელმწიფოს მმართვა - გამგეობისა; მამიდან შვილამდე, ოჯახიდან-ოჯახზე, გვარიდან - გვარზედ რომ გადმოდიოდა. შემოჭრილმა რუსეთმა გაგვინადგურა, დაგვიმხო ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მატერიალური და სულიერი საფუძვლები: გაგვიბზარა ეროვნული სული და შეგნება, წაგვართვა დედა - ენა, ეროვნულ სწავლა - აღზრდის უფლება და გადაგვარება - გადარუსების გზაზედ დაგვაყენა.

და როდესაც 1918 წელს მაისის 26-ს, გაცინებული ცა გაიხსნა და საქართველოს თავისუფლება ღვთიურის მადლით მოგვევლინა, ჩვენ მის სიმაღლეზედ ვეღარ აღმოვჩნდით, მის ცხოველ სხივებს თვალი ვეღარ გაუსწორეთ. დიდი გვქონდა სურვილი - ხალისი ენტუზიაზმი, მაგრამ გვაკლდა ყოველივე ის, რაც რუსეთმა 117 წლის ცეცხლით დაგვიწვა, ხელახალი აღდგენა, ძველი საქართველოს სახელმწიფოს ძირების მოძებნა - აცოცხლება და მათზედ ახალი სახელმწიფო - ცხოვრების დამყნობა. ეს მოითხოვდა მშვიდობიან ცხოვრებასა და მუშაობას. ამ მხრივ მეტად ძნელი იყო მმართველი წრეების როლი.

საბჭოთა რუსეთმა ერთხელ კიდევ ტრადიციულად დაარღვია ცხრა თვის წინ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება, რომელზედაც ჯე კიდევ მელანი არ გამშრალიყო.

რუსეთის ჯარი წითელი დროშით შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და ქართველთა თავგანწირული ბრძოლების მიუხედავათ, სისხლის ზღვაში ჩაახრჩო ამაყი ქართველი ერის ნორჩი თავისუფლება.

23 ტანჯვა - წამების წელიწადი გავიდა და საქართველოს ამ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის — შავს მიწას სისხლი და ქართველ დედათა თვალთ ცრემლი არ შეშრობია: დაუნდობელის ხელით ხოცავს და ულეტს რუსი, ქართველობას; სიბირისა და სოლოვკის ყინულიანი ადგილები მიუჩინეს ქართველ ხალხს — ტანჯვა - წამების ადგილადა და სასაფლაოდ; რამოდენიმე ასი - ათას ქართველ - ახალგაზრდას მობილიზაცია მოუხდინა. ძალით აბრძოლებს რუსული, წითელი იმპერიალისტური მიზნებისათვის, საკუთარი სამშობლოს მონობისათვის. და ქართველი ერის ასეთი სისხლიანი მეთოდებით განადგურება ხდებოდა და ხდება ქრისტიანული კულტურული ევროპის თვალ წინ, რომელთაკენ აზიიდგან მიმავალ ურდოებს არა - ერთხელ გადასდგომია წინ ქართველი ერი.

დღეს საბჭოთა რუსეთისადმი არა ერთხელ გაწეულ დახმარებით, ცოდვილი ევროპა და თითქმის მთელი მსოფლიო, ჩვენი სამშობლო დაკარგულთა მიმღები შემფარებელი ქვეყანა - საფრანგეთიც ცეცხლის ალშია გახვეული. სისხლისა და ცრემლის ნაკადები ავსებენ ჩრდილოეთის ოკეანეს, ხმელთა შუა და შავ ზღვას. კერძოდ საქართველო სრული ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე სდგას. წრევანდელი 26 მაისის დღე არის, **დღე სასწაულისა** და არა მხიარულებაქეიფისა და ზეიმისა. საქართველოს საზღვრებს გარეთ რამოდენიმე ათი - ათასი ქართველი ახალგაზრდა იარაღ ასხმული იბრძვის გერმანიის ძლევამოსილ ჯარებთან ერთად ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის. დღევანდელი დღე უნდა ჩატარებულ იქმნას ქართველი მებრძოლი ძალების ერთობის ნიშნის ქვეშ. ყოველმა ქართველმა თავი უნდა წარმოიდგინოს იმ უფსკრულის წინაშე, რომელსაც დღეს საქართველო უახლოვდება. საკუთარი თვალით დაინახოს, გონებით შეიგნოს და გულით განიცა

სოციალური საკითხები

საზოგადოება და პიროვნება

ძველს დროშივე შენიშნული იყო ადამიანის საზოგადოებრივი ხასიათი. არისტოტელმა მას საზოგადოებრივი ცხოველი უწოდა.

საზოგადოებრიობა ანუ სოციალობა ნიშნავს ადამიანების ურთიერთისადმი ლტოლვას, მისწრაფებას.

ჩვენს დროში მეცნიერებამ გამოარკვია, რომ ასეთი რამ მარტო ადამიანის დამახასიათებელი არ ყოფილა. ის ახასიათებს ცხოველებსაც. მაგრამ ამ მოვლენამ ადამიანებში ისეთი განვითარებული სახე მიიღო რომ ის ამ დარგში საკუთარ კანონებსა და წესებს ემორჩილება.

ადამიანთა საზოგადოებაში სოციალობის გრძნობა უძველეს დროშივე განვითარდა. მისი ცხოვრების ევოლიუციის დროს ყველაზედ დიდი ენერგია სწორედ ამ მიმართულებით დაიხარჯა.

სოციალობის გენეზისი, დასაბამი თვით ორგანიული ცხოვრების განსაზღვრულ მომენტში იმყოფება. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს მოვლენა უნდა იყოს თვით ადამიანის ბუნების თანდაყოლილი ელემენტი. ხოლო შემდეგ, როდესაც ორგანიზმების ბუნებასთან შეგუების ყველა ელემენტები ამოიწურება, აქ ძლიერად მჟღავნდება სოციალური ფენომენი, როგორც ამავე შეგუების უმაღლესი ფორმა. თუ კი საზოგადოება ამ თვისების ნიადაგზე ვითარდება, მაშინ მისი განმარტება ასეთ სახეს მიიღებს: რომ საზოგადოება არის კრებული თავისუფალ ინდივიდთა. მაგრამ ეს თავისუფლება არ სდგას თვით კრებულის გარეშე. თუ კი პიროვნება არსებობს და თავდაცვის აუცილებლობამ შეიყვანა საზოგადოებაში, ცხადია მისი მოქმედებაც იმ თავით ამავე საზოგადოების საერთო კარნახს დაუმორჩილა. პიროვნება, როგორც ორგანიული და განუყრელი ნაწილი საზოგადოებისა, მისი ვალდებულებების ასრულების გზაზედ ითვისებს ისეთ ჩვევებს, რომ და ბოლოს ასეთი აღსრულება იქცევა ერთგვარ კანონად.

ადამიანთა ყოველი კრებული არ შეიძლება იწოდოს საზოგადოებად. კრებული ეფემერული, წარმავალი. მაგ. ლიტერატორთა წრე, ვერ იქნება საზოგადოება. რადგან მიზეზი რომელმაც ეს წარმოშვა არ არის ფართო. ის ვერ ფარავს ამ წრის მთელს არსებობას. იმისათვის რომ ადამიანთა კრებულს საზოგადოება ეწოდოს, საჭიროა ის იყოს განუწყვეტელი, უმაღლესი ხანგრძლივობის და შეიცავდეს ინდივიდის მთელ ევოლიუციას. საფუძვლად ედოს არსებობის გარდაუვალი საჭიროებანი. რამდენადაც ადამიანთა კრებული აღნიშნულ თვისებათა მაქსიმუმს ანხორციელებს, ამდენადვე ის უახლოვდება საზოგადოებას.

მაგრამ სოციალური ევოლუცია მაინც იძლევა თავის განსაზღვრულ სახეს. საზოგადოების განვითარება შეჩერდა ერის ფორმაციაზედ. ის ვერ აღწევს მთელს კაცობრიობას. რათგან ყველა ის მამოძრავებელი ფაქტორები, რომელნიც ემსახურებიან საზოგადოების შექმნას, რეჟიონალური და ინდივიდუალური ხასიათისანი არიან. ამიტომ ევოლიუცია ხდება არა მთელი კაცობრიობის ერთ საზოგადოებად, არამედ მრავალ საზოგადოებებად, და თითეული საზოგადოება, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზმი, წყაროდ ყოველგვარი განვითარებისა.

პიროვნება არ არსებობს გარეშე საზოგადოების. რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრება ვითარდება, იმდენადვე მტკიცდება პიროვნების კავშირი მასთან. ამდენად პიროვნება ველარ იქმნება, როგორც მბრძანებელი თუნდაც საკუთარი ბედისა. ის ემორჩილება საზოგადოების ნაკარნახებ ნორმებს. ინდივიდი ფიზიკურად მაინც არსებობს, რადგან ინდივიდთა გარეშე საზოგადოება ვერ შეიქმნებოდა. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ მისი ადგილი საზოგადოებრივი ორგანიზმის სოციალურ იერარქიაში.

სოციალური ევილიუციის უმაღლესი ფორმა არის ერი. მაგრამ ერი უკვე გულისხმობს საზოგადოების განვითარებულ სახეს. ხოლო განვითარებული საზოგადოებანი თავიანთი შემადგენლობით რთულნი არიან. საზოგადოება დანაწილებულია მრავალ სოციალურ ფენებად. კლასებად, პროფესიებად და სხვა ეკონომიურ და კულტურულ კათეგორიებად. ინტერესთა ამგვარი დანაწილება ემორჩილება ერთგვარ კანონ-ზომიერებას. სახელდობრ ისინი ლაგდებიან კონცენტრიულად. თუ მთელ რკალად მივიღებთ საზოგადოებას, მაშინ ცენტრში მოექცევა პიროვნება, რომელთა შორის დალაგდება სხვა სოციალური დანაწილებანი. ამავე რკალის სურათით ადვილი წარმოსადგენია ინდივიდის ან სხვა სოციალური ფენების მოვალეობანი საზოგადოების მიმართ. მოვალეობანი თითეული რკალის ე .ი. სოციალური კათეგორიის იმდენად იზრდებიან, რამდენათაც უახლოვდება ცენტრს. და მაშასადამე მისი დამოუკიდებლობა მცირდება. ერი უფრო ძლიერია ვიდრე კლასი. ხოლო უკანასკნელი უფრო ძლიერია, ვიდრე პიროვნება. თუ მთელი საზოგადოების პირველ სოციალურ დანაწილებად მივიღებთ კლასებს, ისინი იქნებიან მოვალეობით აღჭურვილნი ერის მიმართ. ისევე როგორც ცალკე პროფესიები თავიანთი კლასების მიმართ. მაშ სოციალური იერარქიის ამ მესამე საფეხურზედ საზოგადოების მიმართ მოვალეობანი კიდევ იზრდებიან. ხოლო უკანასკნელ საფეხურზედ იმყოფება პიროვნება, რომელიც ემორჩილება უშუალოდ ჯერ თავის პროფესიას, მერე მისი გზით კლასს და ბოლოს მთელს საზოგადოებას, ე .ი. ერს. ამდენად თუ კი კლასს ან პროფესიას კიდევ რაიმე ავტონომია შერჩენიათ, პიროვნებას ისიც ეკარგება და პირდაპირ უსიტყვოდ ასრულებს საზოგადოების კარნახს. და ეს პროცესი იქამდე ბუნებრივია, რომ ის იღებს მექანიკურ ხასიათს. ასეთ პირობებში ინდივიდი სრულიადაც არ არის მოკლებული თავისი პირადი არსებობის აუცილებელ თავისუფლებას. პირიქით, ასეთი მისი თავისუფლება უზრუნველყოფილია საზოგადოებრივ ინტერესებთან შეთანხმებული ჰარმონიული მოქმედებით.

ამიტომ ყველაზედ იდეალური, ისეთ სისტემაზედ აშენებული საზოგადოებაა, სადაც დაწყებული პიროვნებიდან გათავებული საზოგადოებამდე — მაქსიმალურად მყარდება სოციალური თანხმობა და ჰარმონია.

ა. მანველიშვილი

დოს მისი საშიშროება და თავისი სიცოცხლე მსხვერპლად შესწიროს ეროვნულ თავისუფლებას. გვწამდეს, რომ ეს დიდი ომი სოციალური სამართლიანობისა და ეროვნებათა თავისუფლების იდეების გამარჯვებით დამთავრდება... წარსული შეცდომების შეგნებით, ვემზადოთ მომავალი თავისუფალი საქართველოსათვის.

ამ 26 მაისს მუხლი მოვიყაროთ და მოვიგონოთ საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებულნი. მათის მაგალითით განვიმტკიცოთ რწმენა ჩვენი ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს კვლავ აღდგენისა.

ვაშა თავისუფლებისათვის მებრძოლთ.

დიდება საქართველოს.

---

26 მაისი პარიზში

საქართველოს დამოუკიდებლობის, 26 მაისის დღე წელს გადახდილი იქმნა დიდძალ საზოგადოების დასწრებით. თეატრ იენას დარბაზში. ელექტრონის უქონლობის გამო, მისი არტისტული პროგრამა შეკვეცილი იქმნა.

წარმოთქმული იქმნა რამოდენიმე პატრიოტული ხასიათის ლექსები, რომლებმაც საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს. მას მოყვა კარგად შესრულებული ქართული ცეკვა და დეკლამაცია.

დღესასწაულს დაესწრნენ სპეციალურად ჩამოსულნი, რამოდენიმე ქართულ ბათალიონის წარმომადგენლები.

გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობები

იტალიის ფრონტზე ბრძოლები გრძელდება გაოგრკეცებელი სიმძაფრით

ძოგერიებული იქმნა ძლიერი საბჭოთა იერიშები

ფიუერერის მთავარი ბანაკი.

2 ივნისი

გერმანიის ჯარების უმაღლესი სარდლობა იუწყება:

გუშინ განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლები სწარმოებდენ ველეტის და ვალმონტონეს სექტორებში. ამ ბრძოლებში ჩვენი ერთეულების ვაჟკაცობამ და წინააღმდეგობის შეურყეველმა ნებისყოფობამ განსაკუთრებით თავი იჩინა რიცხვობრივ და შეიარაღებით ჩვენზე ბევრად აღმატებულ მტრის წინაშე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გუშინაც მტრის მასსიური ძალებით, ტანკთა და ავიაციის დახმარებით წარმოებული იერიშები შეჩერებული იქმნენ. ველეტროს სექტორში მტერი ერთი გარღვევის ადგილას, რომელიც მას ძვირად დაუჯდა, შეჩერებული იქმნა. ამ სექტორში განსაკუთრებით დაწინაურდენ ინფანტერიის მე-65 დივიზია ღენერელ პფეიფერის მეთაურობით, ჯავშნიან გრენადერთა მე-3-ე დივიზია, გაძლიერებული პარაშიუტელთა რამოდენიმე შენაერთით, ღენერლების ჰეკერის და გრეიფერის მეთაურობით ჯარის ერთეულთა ერთი ჯგუფი, რომელშიაც შედიან ქვეითა ჯარის და პარაშიუტელთა ნაწილები. საზენიტო არტილერია და ავიაცია ბრწყინვალე მონაწილეობას იღებდენ სამხედრო ოპერაციებში.

ჩვენი ავიაცია ბომბებით და ტყვიისმფრქვევლებით დაესხა ქალაქ არტენას სექტორში მდგომ მტრის არტილერიას და ჯარის კოლონებს.

ლეპინის მთების სამხრეთ ნაწილში ჩვენმა ნაწილებმა მტრის იერიშების მოგერიების შემდეგ დაიხიეს საკკოს ჩრდილოეთ მხარეზე.

სორას სექტორში ჩვენს ახალ პოზიციებზე მტრის მიერ მოტანილი იერიშები მოგერიებული იქმნა.

ლივურნოს წყლებში გერმანული ფრონტის მსუბუქმა ერთეულებმა ჩასძირეს ერთი ინგლისური ჩქარმავალი კატერი და მეორე მძიმედ დააზიანეს. დალმაციის ნაპირებზე ჩაძირული იქმნა მტრის 6 სანაპირო მოტორიანი დატვირთული გემი და ერთი ნავთის გადამზიდველი. მრავალი ტყვე ხელთ ვიგდეთ.

აღმოსავლეთის ფრონტზე, იასსიდან ჩრდილოეთით, გერმანულმა და რუმინულმა ნაწილებმა მოიგერიეს საბჭოთა ძლიერი იერიშები და მტერი იქით გადარეკეს. ამ ბრძოლებში გერმანული და რუმინული ავიაციის ძლიერმა შეერთებამ დიდი ზარალი მიაყენეს მტერს, მათი მებრძოლთა დიდი რიცხვი და სამხედრო მასალის განადგურებით. ფრონტის დანარჩენ სექტორებში შედარებით სიმშვიდე იყო, გარდა კარპატების წინა მდებარე რაიონის, სადაც სწარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლა.

გასულ ღამეს გერმანული თავდამსხმელთა ძლიერი შენაერთები თავს დაესხენ კაზატინის და ფარტოვის რკინისგზათა კვანძებს.

ფინეთის ყურში ერთი საბჭოთა დამზვერავი გემი წააწყდა ნაღმს და ჩაიძირა.

გერმანულ გემთა ქარავანზე თავდასხმის დროს, ნორვეგიის ნაპირებთან ინგლისელებმა დაჰკარგეს 13 თვითმფრინავი.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘ

შვეიცის ჟურნალი „სვენსკა დაგბლადეც“ თავის უკანასკნელ ნომერში სასტიკად აკრიტიკებს ინგლის - ამერიკული ავიაციის ტერორისტულ თავდასხმებს საფრანგეთის ქალაქებზე. გაზეთის აზრით, ეს თავდასხმები სამხედრო თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელნი არიან. გაზეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამერიკული ავიაციის უკანასკნელმა თავდასხმებმა ევროპაში, განსაკუთრებით დაზიანეს საფრანგეთის ქალაქები. ავინიონში, ნიმში და მონპელიეში დაზიანდენ ისეთი კულტურული ძეგლები, რომ მათი ანაზღაურება შეუძლებელია. ეხლა აღიარებული უნდა იქმნას ყველას მიერ, განაგრძობს გაზეთი, რომ სახელწოდება „ტერორისტული თავდასხმა“ სავსებით ამართლებს ინგლის-ამერიკელთა ავიაციის მოქმედებას და ისეთი დანაშაული ხელოვნების განძეულობის და მშვიდობიან მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი სჩადიან, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

ᲔᲝᲠᲔ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲘᲨᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ

მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეთა პრესამ დიდი პროპაგანდა და რეკლამა გააკეთა ევროპაში გადმოსხმის შესახებ, სჩანს, თვით ლონდონში ამ წამოწყებისადმი დიდი ნდობა არ აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ნიუორკელი „ტაიმსი“ საჭიროდ სცნობს ამერიკაში და მის გარეშე მყოფ თავის მკითხველებს განუმარტოს, რომ ინგლისელები არ იჩენენ ამ ავანტიურისათვის დიდ ენტუზიაზმს და იმათ ძლიერ აშინებთ მეორე ფრონტისაგან გამოწვეული შედეგები. ამერიკულ და კანადის წრეებში საკითხს აყენებენ, ინგლის - ამერიკელები თუ მათ სამხედრო და მატერიალური უპირატესობა გაიჩინათ, რ ა თ საჭიროებენ გრძელ ვადას გადმოსხმისათვის? „რაც უფრო საქმეს გავაჭიანურებთ, ჩვენ მით ნაკლები შანსები გვექნება“, სწერენ კანადიელი გაზეთები. „ნიუ იორკ ტაიმსის“ ოტაველი კორესპოდენტი იწერება, რომ კანადის მოსახლეობაში მეორე ფრონტის შექმნის საკითხთან დაკავშირებით იზრდება მღელვარება. მოსახლეობა თავის თავს ანგარიშს აძლევს იმის შესახებ, თუ რა სირთულეებს შეხვდება მეორე ფრონტის შექმნის საკითხი და რა უამრავი უარყოფითი შედეგები შეუძლია მან გამოიღოს კანადის მოსახლეობისათვის, რომლის საუკეთესო ნაწილი ამჟამად სწორედ იმ ჯარშია, რომელიც გადმოსხმისათვის ემზადება. სამხედრო წრეების განცხადდებას სრულებითაც არ გამოუწვევია ენტუზიაზმი, როდესაც მათ მოსახლეობას ამცნეს, რომ გადმოსხმას მოყვება მილიონობით მოკლულნი და დაჭრილები.

დედები, დები და ცოლები შიშობენ თავიანთ მახლობლებისათვის. ხშირათ, მოკავშირეთა პრესაში ნახავთ ამგვარ შენიშვნებს: „გერმანიის ხალხის ამტანლობა არ შერყეულა“, „გერმანელი ჯარისკაცი 1944 წელს ისე ვაჟკაცურად იბრძვის, როგორც წინა წლეებში“, სწერს „ვაშიგტონ პოსტი“.

ᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲕᲐ

როგორც იტყობინებიან, ქ. ლიონზე უკანასკნელ ტერორისტული თავდასხმის დროს იქ განადგურებული იქმნა პასტერის ინსტიტუტის განყოფილება. ნანგრევების ქვეშ მოყვენ მისი დირექტორი, ასისტენტი და მდივანი.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

ამ ბოლო დროს ხშირად მოგვდის შეკითხვები ლეგიონერებისაგან პარიზში შვებულებით ჩამოსვლის შესახებ. მათდა საყურადღებოდ ვაცხადებთ, როგორც ეს იყო „ლეგიონერი“-ს წინა ნომრებში, რომ თავის დროზე ჩვენ ოფიციალურად გვაცნობეს შვებულებით სარგებლობის აკრძალვის შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ეს ზომა დროებითი იქნება და ახლო მომავალში წინანდებურად ლეგიონერებს საშუალება მიეცემათ რიგრიგობით შვებულებით სარგებლობისა.

„ლეგიონერი“-ს რედაქცია

ნებართვა «პა 313».